აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 **საჯარო** სკოლა

2021-2022 სასწ.წელი

2020-2021 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- **ყოველწლიურად ჩვენი სკოლის მოსწავლეების 50-60% ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100% -იანი დაფინანსების მაჩვენებელს ინარჩუნებს**



2020-2021 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- **2020-2021** სასწავლო წელს **42**-ე საჯარო სკოლის **25**-მა მოსწავლემ სკოლა წარჩინებით დაამთავრა
- აქედან **12**-მა ოქროს, ხოლო **13** -მა მოსწავლემ ვერცხლის მედალი დაიმსახურა;

51დან 51...!!! !

ჩვენი სკოლის წარმატებულმა კურსდამთავრებულმა, დემეტრე გელაშვილმა ,2021 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათემატიკაში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა!!!

წარმატებული კურსდამთავრებულები



- თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებმა მსოფლიო ოლიმპიადაზე მეორე ხარისხის დიპლომი და სერტიფიკატი მოიპოვეს.
- აღნიშნული ოლიმპიადა ყოველწლიურად ტარდება და მასში მონაწილეობას იღებენ სტუდენტური გუნდები მთელი მსოფლიოდან.
- წელს 113 გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. შესარჩევი ტურის შედეგად თავისუფალი უნივერსიტეტი წარადგინეს კომპიუტერული მეცნიერების, მათემატიკის და ინჟინერიის სკოლის სტუდენტებმა
- მათ შორისაა **ირაკლი შალიბაშვილი,** ვეკუას სკოლის წარმატებული კურსდამთავრებული!

წარმატებული კურსდამთავრებულები

- თავისუფალი უნივერსიტეტის ფიზიკის სკოლის კურსდამთავრებული, დათი ქავთარაძე სწავლას გერმანიაში გააგრძელებს.
- დათიმ DAAD-ის სტიპენდია მოიპოვა და RWTH Aachen-ის უნივერსიტეტში ის წავლის ფიზიკის სამაგისტრო პროგრამაზე თეორიულ ნაწილაკთა ფიზიკის მიმართულებით.
- დათი ასევე მიიღეს ბერლინის თავისუფალ მაუნივერსიტეტმა (გერმანია) და პადოვას უნივერისტეტმა (იტალია), თუმცა სწავლის გაგრძელება მანაახენის უნივერსიტეტში გადაწყვიტა.

ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები აშშ-ის უმაღლესებში

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის № 42 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებმა საბა ხარაბაძემ, გუგა ხუნძაკიშვილმა და ბექა მოდრეკილაძემ Purdue University-ს ფიზიკის PhD პროგრამაზე დაფინანსება მიიღეს და მომდევნო 4-5 წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამასთან ერთად მუშაობის შესაძლებლობასაც ექნებათ. ამერიკული მხარე ახალგაზრდებს უნივერსტეტში Teaching Assistant-ებად დაასაქმებს.

მოსწავლეების საერთაშორისო წარმატება

2021 წლის 13-17 იანვარს ყაზახეთის ქალაქ ალმატიში ჩატარდა **ჟაუტიკოვის** სახელობის მე-17 საერთაშორისო ონლაინ ოლიმპიადა მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში.

ტრადიციულად ამ მეტად პრესტიჟულ ოლიმპიადაში მონაწილეობდა აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდიც.

ჩვენი სკოლის **მეთორმეტეკლასელმა** დემეტრე გელაშვილმა **მათემატიკაში** ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ჩვენი სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლემ დემეტრე გელაშვილმა, მათემატიკის მსოფლიო ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა!

INTERNATIONAL MATHEMATICAL OLYMPIAD

IMO 2021 IMO 2022

- Timeline
- Countries
- Results
- Search
- Problems
- Hall of fame
- About IMO
- Links and Resources

DEMETRE GELASHVILI



Year	Country	P1	P2	P3	P4	P5	P6	Total	Rank		Award
									Abs.	Rel.	
2021	Georgia	1	0	0	7	7	0	15	180	71.04%	Bronze medal

Results may not be complete and may include mistakes. Please send relevant information to the webmaster: webmaster@imo-official.org.

ახალგაზრდა ფიზიკოსთა 34-ე საერთაშორისო ტურნირში, საქართველოს ნაკრებმა ვერცხლის მედლები მოიპოვა

წლევანდელ ჩემპიონატში მონაწილე 30-მდე ქვეყანას შორის საქართველოს ნაკრები შემდეგი შემადგენლობით ასპარეზობდა: ნაკრების კაპიტანი ნიკოლოზ ნიკურაძე, ნიკოლოზ მალცევი, ნინი ქუჩულორია, ლევან ლოლაშვილი და ნენე ჟვანია.

ასეთ პრესტიჟულ და მასშტაბურ ტურნირს წელს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა უმასპინძლა.

ახალგაზრდა ფიზიკოსთა 34-ე საერთაშორისო ტურნირში, საქართველოს ნაკრებმა ვერცხლის მედლები მოიპოვა

საქართველოს ნაკრების წევრებმა ახალგაზრდა ნატურალისტთა მე-8 საერთაშორისო ტურნირში ოქროს მედლები მოიპოვეს!



- ოქროსმედალოსანი გუნდის შემადგენლობაში არიან: ნიკა მალცევი(გუნდის კაპიტანი), ირაკლი მიროტაძე და სანდრო ვაჩაძე(სამივე კომაროვის სკოლა), ნენე ჟვანია, ანრი დარცმელია და ლევან ლოლაშვილი (სამივე ვეკუას სკოლა).

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის #42 საჯარო სკოლის გუნდი ახალგაზრდა ნატურალისტთა ტურნირის 2021წლის სეზონის გამარჯვებულია!

- ახალგაზრდა ნატურალისტთა ტურნირი“, მსოფლიო მნიშვნელობის პროექტია, რომელიც ახალგაზრდებში მეცნიერებისადმი ინტერესის წახალისებას ემსახურება. ახალგზარდა ნატურალისტთა ტურნირის 2021 წლის სეზონის გამარჯვებული გახდა ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის #42 საჯარო სკოლის გუნდი, რომელსაც GAU-სგან საჩუქრად გადაეცა ფულადი პრიზი და 1000 ლარიანი სასწავლო ვაუჩერები.

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის #42 საჯარო სკოლის გუნდი ახალგაზრდა ნატურალისტთა ტურნირის 2021წლის სეზონის გამარჯვებულია!

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის # 42 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელს, თინათინ ბუთხუზს მენტორის სტატუსი მიენიჭა.

ჩვენი სკოლის ქიმიის პედაგოგს, თინათინ ბუთხუზს- განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მიღწევებისთვის, მენტორი მასწავლებლის სტატუსისი მიენიჭა. თინათინ ბუთხუზი სკოლაში წარმატებულად ხელმძღვანელობს ქიმიის საოლიმპიადო წრეს.

საქართველოს ნაკრებმა ქიმიის 53-ესაერთაშორისო ოლიმპიადაზე- ICHO 2021 ბრინჯაოს მედლები მოიპოვა!!!!

- ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ: ქეთი პერანიძე (აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა);
- ნინი აბესაძე (თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა) და იოანე კაპანაძე (გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში);
- ქიმიის 53-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადა იაპონიაში დისტანციურად ჩატარდა.
- ოლიმპიადაში 85 ქვეყნის, 320 მონაწილე იღებდა მონაწილეობას.

- საქართველოს ნაკრების ერთერთი მენტორი გახლდათ ჩვენი სკოლის ქიმიის პედაგოგი და საოლიმპიადო წრის ხელმძღვანელი თინათინ ბუთხუზი.

საქართველოს ნაკრებმა ქიმიის 53-ესაერთაშორისო ოლიმპიადაზე- ICHO 2021 ბრინჯაოს მედლები მოიპოვა!!!!

ჩვენი სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე ქეთი გიგინეიშვილი ესეების კონკურსის „მე ვირჩევ თანასწორობას“ გამარჯვებული გახდა

- ესეების კონკურსში საქართველოს 400-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. კონკურსის თანახმად გამოვლინდა 10 საუკეთესო ნაშრომი.
- მათ შორისაა ჩვენი სკოლის მეთორმეტეკლასის მოსწავლე ქეთი გიგინეიშვილი.

ჩვენი სკოლის ისტორიის პედაგოგი- ნანა ირემაშვილი გამომცემლობა "ლოგოს პრესის" მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულია

გამომცემლობა ლოგოს პრესმა ივნისის თვეში ისტორიის პედაგოგებისთვის გამოაცხადა კონკურსი ოთხ ნომინაციაში და ოქტომბრის დასაწყისში გამარჯვებულები გამოავლინა. ქალბატონ ნანა ირემაშვილის ნაშრომმა:- " ნოე ჟორდანიას საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია" (1918-1921წწ) საუკეთესო ისტორიული ესსეს ტიტული მოიპოვა და ჟიურის გადაწყვეტილებით დასახელდა, როგორც საუკეთესო სასწავლო რესურსი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქალბატონი ნანა მენტორი მასწავლებლის სტატუსსაც ფლობს.

მოსწავლეების ჩატარდა ჭადრაკის Online კლასთაშორისი ჩემპიონატი!

- აკ. ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ. თბილისის N42-ე საჯარო სკოლის თვითმმართველობის ორგანიზებით და სკოლის მხარდაჭერით, პანდემიისპირობებში ჩატარდა ჭადრაკის კლასთაშორისი ჩემპიონატი.

ჩვენი სკოლის მოსწავლეების ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, შეიქმნა უნიკალური, ონლაინ სასკოლო ჟურნალისტიკის მოდელი “ვეკუა TV”

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა მოირგეს ჟურნალისტების ამპლუა და სხვადასხვა რუბრიკების ფარგლებში, შემოგვთავაზეს საინტერესო სიუჟეტები.

ისინი ყოველკვირეულად აშუქებენ საინტერესო რუბრიკებს,ამზადებენ სიუჟეტებს სხვადასხვა მიმართულებით, აწყობენ ონლაინ ვიქტორინებს სამეცნიერო თემებზე, იღებენ ინტერვიუებს პედაგოგებისგან. დაინტერესებულ მაყურებელს ყველა გადაცემის ნახვა შეუძლია Youtube არხზე.

წიგნების თაროს გამარჯვებულები

- ჩვენი სკოლის მოსწავლეები სატელევიზიო პროექტ „წიგნების თაროს“ ყველა სეზონში მონაწილეობენ და არაერთხელ მოიპოვეს გამარჯვება. ამჯერად მე-5 სტუდენტური სეზონის ჩემპიონები გახდნენ ვეკუას სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები , თავისუფალი უნივერსიტეტის გუნდ „ ექსელის“ წევრები **ნიკა გურასპაშვილი** და **გიორგი ვარაზაშვილი.**

სკოლის ბიბლიოთეკა

სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ბიბლითეკათა ასოციაციასთან და შიეძინა ბიბლიოთეკისთვის ელექტრონული კატალოგი “Openbiblio”.

საბიბლიოთეკო პროგრამა Openbiblio განკუთვნილია სასკოლო, საუნივერსიტეტო, საეკლესიო, ასოციაციების, ორგანიზაციების ბიბლიოთეკებისათვის ან კერძო კოლექციებისათვის. მასში შესაძლებელია 6000-მდე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის გაკეთება და მართვა.

პროგრამაში დარეგისტრირებულია ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი და ჟურნალ-გაზეთები. ასევე შეიქმნა ანბანური და სისტემატიური კატალოგების ელექტრონული ვერსიები, თემატური კატალოგები, კატალოგები განყოფილებების მიხედვით.



ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ სტატია სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ " საქართველოს ბიბლიოთეკაში" გამოქვეყნდა



სტანდარტზედა სერვისები

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტანდარტზედა მომსახურების სერვისები:

- ლოგიკა
- პროგრამირება
- ელ. კვანძები
- სამედიცინო ეთიკა
- ფსიქოსინთეზი
- კრიტიკული აზროვნება
- გზა ევროპისკენ
- ბუღალტერია
- ლიტმცოდნეობა
- მსოფლიო ლიტერატურა - ანტიკურიდან დღემდე
- თანამედროვე არტი
- ლიტერატურა და ფილოსოფია
- მენეჯმენტი
- არდუინო

პროფესიული განვითარებისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში სკოლას ყოველწლიურად სხვადასხვა უნივერსიტეტები სტუმრობენ

- თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტები
- საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი
- საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტი (GIPA)
- კავკასიის უნივერსიტეტი

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა მათემატიკის **#42 საჯარო** სკოლა

მადლობა ყურადღებისათვის!

2021-2022 weli
Tbilisi